საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№36-37 (6413) 23 მარტი შაბათი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგზავნილი ქალაქში შიდის, პარტიის ამბინდებმ დაიჭირა, მტკიცე საფრთხელი ჩავუყაროთ მომდინარე წლის მოსავალს!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

20 მარტს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.

დეპუტატებმა ცვლილებანი და დამატებანი შეიტანეს საქართველოს რესპუბლიკის კანონში რეფერენდუმის შესახებ, განიხილეს ზოგიერთი საკითხი, რომლებიც უკავშირდება 1991 წლის 31 მარტს საერთო-რესპუბლიკური რეფერენდუმის მოწყობას, და მიიღეს შესაბამისი დადგენილება. კერძოდ, გადაწყვეტილია, ჯერ კიდევ 31 მარტამდე რეფერენდუმის საკითხზე ხმის მიცემის ნება დართონ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზისა გამო ამ დღეს არ იქნებიან რესპუბლიკაში. რეფერენდუმის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაევალა უზრუნველყოს ფარული კენჭისყრა და გამორიცხოს იმის ყოველგვარი შესაძლებლობა, რომ ერთი და იგივე პირმა მონაწილეობა მიიღოს ერთზე მეტ საარჩევნო უბანში, ამასთან გაითვალისწინოს ამას წინათ საერთო-საკავშირო რეფერენდუმის დროს დაშვებული უხეში დარღვევები.

სესიამ მიიღო დადგენილება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების №669 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში დეპუტატის არჩევნების შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის რეფერენდუმის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხზე გამოვიდნენ უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანი გიორგი გულბანი და უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის კომისიის თავმჯდომარე გივი თაქთაქიშვილი. ამ საკითხის განხილვის დროს დეპუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით უზენაესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი კანონი.

შემდეგ სიტყვა მიეცა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს ჯონი ხეცურიანს, რომელმაც დეპუტატებს განსახილველად წარუდგინა ნორმატიული აქტების პროექტების მთელი პაკეტი. განიხილეს და მიიღეს: უზენაესი საბჭოს დადგენილებები მოსამართლეთა და სასამართლოების მსაჯულთა ფიცის შესახებ, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციის დებულების დამტკიცების შესახებ, მოსამართლეთა კონფერენციის მოწვევისა და ჩატარების წესის შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევნების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის შესახებ? კანონი საქართველოს რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებისა და გაწვევის წესის შესახებ, დადგენილებანი მსაჯულთა მიერ სასამართლო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოთა მოსამართლეებისათვის საკვალიფიკაციო კლასების დაწესების შესახებ. პირველი წაკითხვით მიღებულია კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლისსამართლებრივ-საპროცესო კოდექსსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ. დეპუტატებმა აგრეთვე განიხილეს და მიიღეს კანონი სასჯელის უმაღლესი ღონისძიების—ზოგიერთი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

უზენაესი საბჭოს მანდატებისა და დეპუტატის ეთიკის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ბიძინა დანგაძის წარდგინებით სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეწყდეს კანონის თანახმად, უფლებამოსილებანი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებისა—გურამ ქაშაკაშვილისა, რომელიც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობას უთავსებდა სადეპუტატო საქმიანობას, და გივი გუმბარიძისა, რომელიც პრაქტიკულად თვითონ ჩამოსცილდა დეპუტატის მოვალეობათა შესრულებას.

სესიაზე შიდა ქართლში შექმნილი სიტუაციის გამო განცხადება გააკეთა დეპუტატმა ამირან კალაძემ. ამავე პრობლემას უკავშირდება განცხადება, რომელიც უზენაესი საბჭოს წევრთა ჯგუფის სახელით გააკეთა დეპუტატმა ნოდარ ნათაძემ. გაიმართა აზრთა გაზიარება, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია, დეპუტატები თამაზ გამყრელიძე, ლევარდ ტუხაშვილი, მზექალა შანიძე, რობერტ პეტრიაშვილი, აპოლონ სილაგაძე, ალექსანდრე შუშანიშვილი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბაქარ გიგინეიშვილი და სხვები. გაითვალისწინეს რა შიდა ქართლში შექმნილი უაღრესად დაძაბული სიტუაცია და ამაში ცენტრის უხამსი როლი, დეპუტატებმა გადაწყვიტეს საპროტესტო ნოტა გაუგზავნონ სსრ კავშირის მთავრობას და მიიღონ მომართვა მსოფლიოს საზოგადოებრიობისადმი. სესიის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ძმათამკვლელი კონფლიქტის მსხვერპლთა ხსოვნას.

დეპუტატებმა განიხილეს უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ნუგზარ მოლოდინაშვილის მიერ წარმოდგენილი პროექტი კანონისა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მთავრობის შენობათა წინ პოლიტიკური აქციების ორგანიზაციისა და მოწყობის დადგენილი წესის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. სესიამ მიიღო ეს კანონი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თენგიზ სიგუას წარდგინებით უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის გაუქმების შესახებ. მიღებულია გადაწყვეტილებანი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეების მოვალეობისაგან ბეგლარ მახარაშვილისა და ოთარ მელქაძის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრის მოვალეობისაგან ლუდვიგ ღურწკაიას განთავისუფლების შესახებ.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სახელმწიფო რეზერვების მინისტრად დაინიშნა იგორ ჩხეიძე.

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების შესაბამისად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმში წინასწარ ხმის მიცემის წესი

საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც შეტანილი არიან ამომრჩეველთა სიებში და რაიმე ობიექტური მიზეზის გამო 31 მარტს არ იქნებიან საქართველოში, საშუალება ეძლევათ 23 მარტიდან 31 მარტამდე ნებისმიერ დღეს 10 საათიდან 19 საათამდე შესაბამისი ტერიტორიული (საქალაქო, საოლქო) საარჩევნო კომისიის მიერ მითითებულ საარჩევნო უბანში წინასწარ მისცენ ხმა საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმში.

ამ მიზნით ყოველი ტერიტორიული (საოლქო, ტერიტორიულის უფლების მქონე საქალაქო) საარჩევნო კომისია არაუგვიანეს 23 მარტისა ადგილობრივ პრესაში აქვეყნებს იმ საარჩევნო უბნის ნომერს და მისამართს, რომელშიც შესაბამისი რაიონის (ქალაქის) ამომრჩევლები წინასწარ მისცემენ ხმას.

ამომრჩევლებმა, რომლებსაც წინასწარ სურთ ხმის მიცემა, უნდა მიმართონ იმ საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიას, რომლის ამომრჩეველთა სიაშიც არიან შეტანილი, და პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა მოწმობის წარდგენით მოითხოვონ ხმის მიცემის უფლების მოწმობა. საუბნო საარჩევნო კომისია გასცემს სათანადოდ შევსებულ ხმის მიცემის უფლების მოწმობას და გააკეთებს აღნიშვნას ამომრჩეველთა ძირითად სიაში ამ ამომრჩეველის სიიდან ამოღების შესახებ.

ხმის მიცემის უფლების მოწმობის მიღების შემდეგ ამომრჩეველმა უნდა მიმართოს იმ უბნის საუბნო საარჩევნო კომისიას, რომელშიც ეწყობა წინასწარი ხმის მიცემა მოცემული რაიონის (ქალაქის) ამომრჩეველებისათვის. ხმის მიცემის უფლების მოწმობისა და პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა მოწმობის საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისიას ეს

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ

გაითვალისწინა რა საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის წინადადებები 1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. 1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმში საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა მონაწილეობისათვის ხელის შეწყობის მიზნით რეფერენდუმის დღეს საარჩევნო უბნებში კენჭისყრა მოეწყოს 7-დან 22 საათამდე. ამომრჩეველთა სიებში შეტანილ მოქალაქეებს რომლებიც რაიმე ობიექტური მიზეზის გამო 31 მარტს არ იქნებიან საქართველოში, უფლება მიეცეთ წინასწარ მისცენ ხმა ა. წ. 23 მარტიდან 31 მარტამდე ნების მიერ დღეს, 10-დან 19 საათამდე შესაბამისი ტერიტორიული (საოლქო, საქალაქო) საარჩევნო კომისიის მიერ მითითებულ საარჩევნო უბანში.

2. ცენტრალურმა სარეფერენდუნო კომისიამ ა. წ. 22 მარტამდე შეიმუშაოს წინასწარ ხმის მიცემის წესი, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხმის მიცემის საიდუმლოება და გამორიცხოს ერთი და იმავე ამომრჩეველის მიერ ერთზე მეტ საარჩევნო უბანში ხმის მიცემის შესაძლებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია

თბილისი. 1991 წლის 20 მარტი.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნებისა და საქართველოს მოსახლეობის რეფერენდუმის წინ

ხმის მიცემის წესი

ყოველი დღე გვაახლოებს 31 მარტს—ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოების არჩევნების და საქართველოს მოსახლეობის რეფერენდუმის დღეს.

იცავ დამთავრდა დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია და დეპუტატობის კანდიდატები ცნობილი გახდნენ ამომრჩეველთათვის რაიონული გაზეთის მეშვეობით. რაიონის 15 საკრებულოს არჩევნების 80 საარჩევნო ოლქში 250 მანდატზე რეგისტრაციაში გატარდა 504 დეპუტატობის კანდიდატი.

ამასთან, როგორც ცნობილია, ამავე დღეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებთან ერთად ტარდება საქართველოს მოსახლეობის რეფერენდუმი შეკითხვით „გსურთ თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებელი საქართველოს დეკლარაციის საფუძველზე".

ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს ამომრჩეველთა ინფორმირებას ბიულეტენებსა და ხმის მიცემის წესში.

მზადდება ორი სხვადასხვა ფერის საარჩევნო ბიულეტენი. ერთში იქნება საკრებულოების დეპუტატობის კანდიდატები, ხოლო მეორე ბიულეტენში შეტანილ იქნება სარეფერენდუმო კითხვა.

არჩევნების დროს ხმის მიცემა ეწყობა არჩევნების დღეს 7 საათიდან 20 საათამდე. საუბნო საარჩევნო კომისია ხმის მიცემის დროსა და ადგილს ამომრჩევლებს აცნობებს არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

ხმას მიცემის დროს დაუშვებელია ხმის მისაცემი შენობის ჩაკეტვა და ხმის მიცემის შეწყვეტა.

საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია ხმის მიცემა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ ხმა მისცა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

ხმის მიცემა ეწყობა სპეციალურად გამოყოფილ ისეთ შენობებში, რომლებიც არაა მხოლოდ ერთი პარტიის სარგებლობაში. ამ შენობებში უნდა იყოს ფარული კენჭისყრისათვის მოწყობილი საკმაო რაოდენობით კაბინები ან ოთახები, განისაზღვროს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილები და დაიდგას საარჩევნო ყუთები. საარჩევნო ყუთები ისეთნაირად იდგმება, რომ ხმის მიმცემნი მათთან მისვლისას აუცილებლად გადიოდნენ ფარული კენჭისყრის კაბინებს ან ოთახებს. ხმის მისაცემ კაბინებში უნდა იყოს კალმისტრები, ხმის მისაცემ შენობებსა და ოთახებში გამოკრული უნდა იქნეს შესაბამის საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატთა სიები და ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა შეივსოს საარჩევნო ბიულეტენი.

თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი დეპუტატობის კანდიდატი არჩევნებში აღარ მონაწილეობს, სათანადო განცხადება თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს გამოკრული როგორც საარჩევნო უბანში, ასევე ხმის მისაცემ კაბინებში.

პასუხისმგებლობა ხმის მიცემის ორგანიზაციისათვის, ამომრჩეველთა ნების გამოვლინების საიდუმლოების უზრუნველყოფისათვის, შენობების მოწყობისა და იქ საჭირო წესრიგის დაცვისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიას. ხმის მიცემის დღეს ხმის მისაცემ შენობასა და მის მიდამოებში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ხმის მისაცემ შენობაში დაუშვებელია შეიარაღებულ პირთა შესვლა.

არჩევნების დღეს ხმის მიცემის დაწყებამდე საარჩევნო ყუთებს ამოწმებს და პლომბავს ან ლუქავს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით, რის შემდეგაც ყუთებში უშვებენ საკონტროლო ფურცელს, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ კომისიის წევრები და ხმის მისაცემად მოსული პირველი ამომრჩეველი. მასზე უნდა აღინიშნოს ყუთში ფურცლის ჩაშვების დრო.

თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. სხვა პირთა მაგივრად ხმის მიცემა დაუშვებელია. საარჩევნო ბიულეტენებს გასცემს საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიის ან ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთისა და ამომრჩევლის ბარათის წარდგენისას. საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ამომრჩეველი ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით. ხმის მიცემის უფლების მოწმობები ერთვის ამომრჩეველთა დამატებით სიას.

მოქალაქენი, რომლებიც შეცდომით ვერ მოხვდნენ ამომრჩეველთა სიაში, პირადობისა და საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე შეაქვთ ამომრჩეველთა დამატებით სიაში.

იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ ამომრჩევლებს ჯანმრთელობის მდგომარეობისა ან სხვა მიზეზთა გამო არ შეუძლიათ ხმის მისაცემ შენობაში მისვლა, საუბნო საარჩევნო კომისია მათი თხოვნით ავალებს კომისიის წევრებს მოაწყონ ხმის მიცემა ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას ამომრჩეველთა სიის დანართის საფუძველზე, რის შესახებაც ამომრჩეველთა სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა. ამ შემთხვევაში ხმის მიცემის მოწყობაში მონაწილეობს კომისიის სულ ცოტა ორი წევრი. ხმის მიცემის ამგვარად ჩატარებისათვის გამოიყენება ერთი გადასატანი საარჩევნო ყუთი.

საარჩევნო ბიულეტენებს ამომრჩეველი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში. ბიულეტენების შევსებისას კარგად უნდა ვიცოდეთ, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში ან ოთახში სხვა პირი მიიწვიოს თავისი შეხედულებისამებრ, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, ნდობით აღჭურვილი პირისა და დეპუტატობის კანდიდატის წარმომადგენლისა.

საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას ამომრჩეველმა დეპუტატობის ყოველი კანდიდატის გვარის გასწვრივ ცარიელ უჯრედში უნდა ჩაწეროს ციფრები შემდეგი მიმდევრობით—ციფრი „1" იმ კანდიდატის გვარის გასწვრივ, რომელსაც აძლევს უპირატესობას სხვების წინაშე, ციფრი „2" იმ კანდიდატის გვარის გასწვრივ, რომლის კანდიდატურაც მისთვის პირველის შემდეგ ყველაზე უფრო მისაღებია, ციფრი „3" იმ კანდიდატის გვარის გასწვრივ, რომელსაც პირველი ორის შემდეგ აძლევს უპირატესობას სხვების წინაშე და ა. შ. ამომრჩეველს უფლება აქვს შეჩერდეს ნებისმიერ ციფრზე.

თუ ამომრჩეველს უყურადღებობის გამო გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, მას შეუძლია მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ან მდივანს, ჩააბაროს გაფუჭებული ბიულეტენი და მიიღოს ახალი. გაფუჭებულ ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე და ცალკე ინახება.

შევსებულ ბიულეტენებს ამომრჩეველი უშვებს საარჩევნო ყუთში.

ხმის მისაცემი შენობა იკეტება 20 საათზე.

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

(დასასრული)

ამომრჩეველი შეჰყავს წინასწარ ხმის მიმცემ ამომრჩეველთა სიაში და ამ სიაში ხელმოწერის შემდეგ მას აძლევენ ერთ სარეფერენდუმო ბიულეტენს და ორ სუფთა ნებისმიერი ნიმუშის კონვერტს, ამომრჩეველი ხმის მიცემის კაბინაში ავსებს სარეფერენდუმო ბიულეტენს, დებს ამ ბიულეტენს სუფთა კონვერტში და აწებებს მას. შემდეგ ამ კონვერტს დებს მეორე სუფთა კონვერტში, ასევე აწებებს, აწერს თავის სახელს, გვარსა და მისამართს, კონვერტის უკანა გვერდზე აწერს ხელს და უშვებს მას დალუქულ ყუთში.

რეფერენდუმის დღეს აღნიშნული საუბნო საარჩევნო კომისია ხსნის დალუქულ ყუთს და კონვერტზე გაკეთებული ხელმოწერის წინასწარ ხმის მიმცემ ამომრჩეველთა სიაში გაკეთებულ ხელმოწერასთან შედარების შემდეგ ხსნის გარეთა კონვერტს. გარეთა კონვერტები გადაიყრება, ხოლო შიგა სუფთა კონვერტები გაუხსნელად ჩაიყრება ამ საარჩევნო უბნის ძირითად საარჩევნო ყუთში. ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ, როდესაც გაიხსნება საარჩევნო ყუთი, გაიხსნება აგრეთვე მასში ჩაგდებული კონვერტები, მათში მოთავსებული სარეფერენდუმო ბიულეტენები დაემატება ბიულეტენების საერთო დასტას და მათი დათვლა მოხდება საერთო წესით. ამ საარჩევნო უბანში რეფერენდუმის შედეგების შეჯამებისას საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა რიცხვს დაემატება წინასწარ ხმის მიმცემ ამომრჩეველთა სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობა.

შენიშვნა:

1. ზემოაღნიშნული წესი ეხება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმს და იგი არ გამოიყენება საკრებულოთა არჩევნებში.

2. საქართველოს ფარგლებს გარეთ შექმნილ საარჩევნო უბნებში ხმის მიცემა ჩატარდება მხოლოდ რეფერენდუმის დღეს — 31 მარტს. ამ საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა ძირითად და დამატებით სიებში შეჰყავთ ამომრჩეველები, რომლებიც ცხოვრობენ მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე. და ბოლო მუდმივი ჩაწერა ჰქონდათ საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ის ამომრჩევლები, რომლებიც რეფერენდუმის დღეს საარჩევნო უბნებში გაიცხადებენ ხმის მიცემის უფლების მოწმობით.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დამატება შეიტანა საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში პროპორციული წარმომადგენლობის სისტემით არჩევნების შეჯამების წესებში.

6. 4. 2. მუხლის პირველ აბზაცში ამოღებულ იქნეს სიტყვა „მხოლოდ" და ამ აბზაცის ბოლოს დაემატოს:

„ხოლო თუ ხმების გადაცემის შედეგად კანდიდატს, რომელსაც ეს ხმები გადაეცა, გაუჩნდა ნამეტი, რომელიც საარჩევნო კვოტის ტოლი ან მასზე მეტია, ნამეტი იმავე კოეფიციენტით გადაეცემათ დარჩენილ კანდიდატებს შემდეგი შესაძლო არჩევანის შესაბამისად (გადაეცემა დამატებით დასტაში ბოლოს დაწყობილი ბიულეტენები)".

„ბახტრიონი" — ბახარეთ

საქართველო. თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის" კოლექტივი საკუთარი გამოცდილებით ცდილობს გაიკვლიოს გზა ბაზრისაკენ. აქ მუდმივად ანახლებენ ასორტიმენტს თანამედროვე მოდელებით, რომლებსაც მოთხოვნათა შესწავლის საფუძველზე ამზადებენ, ნერგავენ უახლეს იმპორტულ მოწყობილობებს, მაგრამ რესპუბლიკის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა მეტრიკოტაჟეებზეც ახდენს გავლენას.

ნედლეულის მოწოდებაში წყვეტილობა, სათბობითა და ელექტროენერგიით მომარაგებაში კრიზისული მდგომარეობა იწვევს გეგმებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობას.

სურათზე: მარინე თუშიშვილი—იტალიური წარმოების საქარგი მანქანის ოპერატორი.

ცაგერის რაიონის საკრებულოთა დეპუტატობის კანდიდატები

(გაგრძელება)

ქვედა ღუხვანოს №2 საარჩევნო ოლქში

კოპალიანი ავთანდილ ჭიჭიკოს ძე — დაბადებული 1954 წელს, ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საღინაძე ამირან ყორას ძე—დაბადებული 1960 წელს, ცაგერის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მუკვანი ნელი ნიკოლოზის ასული—დაბადებული 1949 წელს, ლუხვანოს ბაღის გამგე, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

კოპალიანი ალბერტ აქვსენტის ძე—დაბადებული 1956 წელს, ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ბენიძე გიორგი გიორგის ძე—დაბადებული 1955 წელს, ცაგერის სასტუმროს დირექტორი, უპარტიო, დამოუკიდებელი.

ქვედა ლუხვანოს № 3 საარჩევნო ოლქში

კოპალიანი გულნაზი რაფიელის ასული—დაბადებული 1952 წელს, სდკპ ცაგერის რაიკომის მდივანი, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საღინაძე ოთარ ილიკოს ძე—დაბადებული 1935 წელს, ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ხაბულიანი ვლადიმერ ბახუს ძე — დაბადებული 1930 წელს, ცაგერის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჩაკვეტაძე ალბერტ არჩილის ძე—დაბადებული 1958 წელს, ცაგერის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ხეცურიანი მარინე სამსონის ასული—დაბადებული 1954 წელს, ლუხვანოს ბაღის აღმზრდელი, მასწავლებელი, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ზედა ღუხვანოს № 4 საარჩევნო ოლქში

ლეთოდიანი მურმან ინდიკოს ძე—დაბადებული 1951 წელს, ზედა ლუხვანოს მაღაზიის გამგე, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ლეთოდიანი ნეფი სტეფანეს ასული — დაბადებული 1936 წელს, ზედა ლუხვანოს დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

დავითულიანი ვლადიმერ გრიგოლის ძე—დაბადებული 1926 წელს, გაზეთ „ლეჩხუმის“ განყოფილების გამგე, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ბენდელიანი მაყვალა აკაკის ასული—დაბადებული 1958 წელს, ცაგერის საავადმყოფოს მოლარე, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

კოპალიანი გრიშა ევგენის ძე—დაბადებული 1947 წელს, საგზაო სამმართველოს მუშა, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

წიფერჩის საკრებულოს არჩევნების ადგილობრივმა საარჩევნო კომისიამ

ბარდნალის № 1 საარჩევნო ოლქში

გვიშიანი ქეთევან სეითის ასული—დაბადებული 1957 წელს, ბარდნალის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ეფაძე მავლინა შალვას ასული—დაბადებული 1947 წელს, წიფერჩის ბაღაბაღის აღმზრდელი, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ცხვედიანი როლანდ ალექსანდრეს ძე—დაბადებული 1948 წელს, უმუშევარი, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

თუთისანი გერონტი ბიქტორის ძე — დაბადებული 1919 წელს, ბარდნალის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ნემსწვერიძე გერმანე ალექსანდრეს ძე—დაბადებული 1950 წელს, კოოპერატივ „მშენებლის“ ინჟინერი, ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირის წევრი, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჩარკვიანი გია მიხეილის ძე—დაბადებული 1963 წელს, გაზეთ „ლეჩხუმის“ კორესპონდენტი, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ნემსწვერიძე ჯიმშერ ლევანის ძე—დაბადებული 1941 წელს, სახერხი საამქროს მუშა, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჩაკვეტაძე მიხეილ გიორგის ძე—დაბადებული 1927 წელს, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

წიფერჩის № 2 საარჩევნო ოლქში

ნემსწვერიძე ემზარ ჯუმბერის ძე—დაბადებული 1962 წელს, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ხეცურიანი ნანა იორამის ასული—დაბადებული 1950 წელს, წიფერჩის კულტურის სახლის დირექტორი, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

კოპალიანი ტიტიკო სევარიონის ძე—დაბადებული 1935 წელს, წიფერჩის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ნემსწვერიძე გრიგოლ თეოდორეს ძე — დაბადებული 1934 წელს, წიფერჩის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ლიპარტელიანი ლემინო შარდენის ძე—დაბადებული 1936 წელს, ცაგერის რაითესლნერგის ინსპექტორი, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მეშველიანი ჯონი კირილეს ძე—დაბადებული 1951 წელს, ცაგერის რაიგაზის თანამშრომელი, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ფუტკარაძე პიერი პიმენის ძე—დაბადებული 1945 წელს, ზუბის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

თუთისანი მალხაზ ვალერიანის ძე—დაბადებული 1964 წელს, უმუშევარი, უპარტიო, დამოუკიდებელი.

ხაბულიანი აზა იაშას ასული—დაბადებული 1959 წელს, ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორი, უპარტიო, დამოუკიდებელი.

ლარჩვალის №3 საარჩევნო ოლქში

ხეცურიანი ოთარ კლიმენტის ძე—დაბადებული 1937 წელს, წიფერჩის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჩანქსელიანი მზია ამირანის ასული—დაბადებული 1961 წელს, ბარდნალის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე, უპარტიო სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ხეცურიანი ოთარ ვალერიანის ძე—დაბადებული 1927 წელს, ბარდნალის საშუალო სკოლის დირექტორი, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჩარკვიანი ვალერი შალვას ძე—დაბადებული 1948 წელს, ადგილმოეწყობის მუშა, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ლარცულიანი ბადრი თემურის ძე—დაბადებული 1959 წელს, პროფსასწავლებლის მასწავლებელი, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ფუტკარაძე ბადრი ოთარის ძე—დაბადებული 1958 წელს, ადგილმოეწყობის მუშა, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ხეცურიანი ბონდო ჭიჭიკოს ძე—დაბადებული 1959 წელს, ცაგერის აგროგაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე, სდკპ წევრი, დამოუკიდებელი.

ჩქუმის №4 საარჩევნო ოლქში

თუთისანი ყორა დომენტის ძე—დაბადებული 1949 წელს, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

თუთისანი ბადრი ალექსანდრეს ძე — დაბადებული 1959 წელს, ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

დავითულიანი ავთანდილ ტარასის ძე—დაბადებული 1955 წელს, ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, უპარტიო, დამოუკიდებელი.

ჩიქოვანი ალექსი ვლადიმერის ძე — დაბადებული 1938 წელს, შს ცაგერის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ახლედიანი ცაგუ გრიშას ძე—დაბადებული 1961 წელს, რკინა-ბეტონის ქარხნის ინჟინერი, — უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ხაბულიანი მაყვალა სამსონის ასული — დაბადებული 1955 წელს, დიასახლისი, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჟულგაჭის №5 საარჩევნო ოლქში

ჭაბუკიანი გალაქტიონ კოლიას ძე—დაბადებული 1956 წელს, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სვანიძე აბელ ერმილეს ძე—დაბადებული 1956 წელს, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ლარცულიანი ნორა სოგრატის ასული—დაბადებული 1932 წელს, წიფერჩის სასოფლო საბჭოს მდივანი, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ტვილდიანი ნუგზარ ჭიჭიკოს ძე—დაბადებული 1952 წელს, ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომის მდივანი, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ბენდელიანი მუხრან გიორგის ძე—დაბადებული 1952 წელს, ცაგერის კინოფიკაციის მექანიკოსი, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ლასურიაშის საკრებულოს არჩევნების ადგილობრივმა საარჩევნო კომისიამ

მახაშის №1 საარჩევნო ოლქში

ჩაკვეტაძე გრიშა ინდიკოს ძე — დაბადებული 1935 წელს, ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ვაწაძე გიზო გედეონის ძე — დაბადებული 1948 წელს, კოოპერატივ „სინათლის“ თავმჯდომარე, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

გასვიანი ბორის სერგოს ძე — დაბადებული 1951 წელს, ნასპერის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მუშკუდიანი ბორის სერგოს ძე — დაბადებული 1942 წელს, ლასურიაშის სასოფლო საბჭოს მოლარე, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ხეცურიანი დემურ ქრისტეფორეს ძე — დაბადებული 1950 წელს, ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლეჩხუმი“ №34-35.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაგერის რაიონის საკრებულოთა დეპუტატობის კანდიდატები

(გაგრძელება)

მესხაძე გულნაზ ვალიკოს ასული — დაბადებული 1956 წელს, ლასურიაშის სასოფლო საბჭოს ბუღალტერი, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მახაშის №2 საარჩევნო ოლქში

კენჭაძე ნანა ბენიას ასული — დაბადებული 1965 წელს, მახაშის არასრული საშუალო სკოლის მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" რაიონული ორგანიზაციისაგან.

კენჭაძე იური ზოსიმეს ძე — დაბადებული 1942 წელს, ცაგერის გაზის კანტორის ზეინკალი, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" რაიონული ორგანიზაციისაგან.

კოპალიანი მაყვალა ნოდარის ასული — დაბადებული 1954 წელს, მახაშის არასრული საშუალო სკოლის გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელი, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მუშკუდიანი დავით პავლეს ძე — დაბადებული 1961 წელს, უმუშევარი, უპარტიო, დამოუკიდებელი.

სილაგაძე აბესალომ პიმენის ძე — დაბადებული 1925 წელს, მახაშის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ლასურიაშის №3 საარჩევნო ოლქში

ბრეგვაძე გულვერ ვლადიმერის ძე — დაბადებული 1946 წელს, ცაგერის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე, უპარტიო, დამოუკიდებელი.

მუშკუდიანი გია გურამის ძე — დაბადებული 1961 წელს, ცაგერის ელქსელების ინჟინერი, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მუშკუდიანი გია ვალიკოს ძე — დაბადებული 1963 წელს, ლასურიაშის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს" ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მუშკუდიანი როსტომ ალექსანდრეს ძე — დაბადებული 1948 წელს, ლასურიაშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მუშკუდიანი ალექსანდრე იასონის ძე — დაბადებული 1922 წელს, ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მუშკუდიანი ჟორა მიხას ძე — დაბადებული 1954 წელს, ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, დამოუკიდებელი.

